

## იყო თუ არა ლეგიტიმური ლიბიაში ინტერვენცია 2011 წელს?

### ცოტნე ვანიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

ლიბიის სამოქალაქო ომი და ნატოს ინტერვენცია 2011 წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელიც ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ ფონზე მიმდინარეობდა. პირველ სტადიაზე, მიმდინარე მოვლენები სტანდარტული ხასიათის იყო, მაგრამ პრეზიდენტ კადაფის აშკარად შეეშინდა, რომ იგი გაიზიარებდა ეგვიპტის ლიდერის, ჰოსნი მუბარაქის ბედს და მოუწევდა ძალაუფლების დათმობა. ამიტომ მან მიმართა ძალას ხალხის წინააღმდეგ და შედეგად მიიღო „ძალიან ლიბერალური ინტერვენცია“ თავისი რეჟიმის წინააღმდეგ.<sup>1</sup> მიმდინარე პროცესების საპასუხოდ, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო ორი რეზოლუცია #1970 და შემდგომ #1973. სწორედ უკანასკნელის საფუძველზე მოხდა ნატოს ინტერვენცია.<sup>2</sup>

აღნიშნული ინტერვენცია 7 წლის შემდეგაც განხილვის საგანია მკვლევართა შორის. მათი ნაწილი აღნიშნულ ოპერაციას განიხილავს როგორც უარყოფით მოვლენას, რომელმაც ხელი შეუწყო შემდგომ სამოქალაქო ომს, ხოლო მეორე ნაწილი მის ლეგიტიმურობასა და აუცილებლობაში დარწმუნებულია.

მოცემული ესეს მიზანია დაიცვას პოზიცია, რომლის მიხედვით ნატოს ინტერვენცია მუამარ კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ ლეგიტიმური იყო.

2011 წლის 17 თებერვალს ლიბიაში დაიწყო სამოქალაქო ომი, ერთი მხრივ კადაფის 42-წლიანი დიქტატურის დამხობის მოსურნე და მეორე მხრივ რეჟიმის მხარდამჭერ სამთავრობო ძალებს შორის. მძიმე შიდაპოლიტიკური ვითარების გარდა, ეს მოვლენები განაპირობა ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში 2010 წელს დაწყებულმა „არაბულმა გაზაფხულმა“. კადაფიმ ხალხის დასაშლელად სამხედრო ძალა გამოიყენა, რასაც მოჰყვა მსხვილმასშტაბიანი შეტაკებები.<sup>3</sup>

22 თებერვალს გაერომ გააკეთა განცხადება, რომელშიც ის მოქალაქეების უფლებებზე აკეთებდა აქცენტს და დემონსტრაციებს ლეგიტიმურად მიიჩნევდა. კადაფის რეჟიმს მოუწოდეს, რომ აელო პასუხისმგებლობა და დაეცვა საკუთარი მოქალაქეები. გაერომ კადაფის სთხოვა „დაცვის პასუხისმგებლობის“ ფარგლებში სამედიცინო დახმარებისთვის ხელი არ შეეშალა.<sup>4</sup> მიუხედავად ამისა, ლიბიაში მდგომარეობა სულ უფრო იძაბებოდა.

საერთაშორისო საზოგადოების უამრავი მცდელობის მიუხედავად, კადაფი არ წყვეტდა საომარ მოქმედებებს, რის საპასუხოდ 17 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია #1973, რომელიც მოუწოდებდა მსოფლიო თანამეგობრობას, მიეღოთ ყველა ზომა ლიბიელების დასახმარებლად. ნატოს ოპერაცია რამდენიმე თვე მიმდინარეობდა და დასრულდა მას შემდეგ, რაც მუამარ კადაფის ლიკვიდაცია მოხდა.

<sup>1</sup> Douthat Ross. A very liberal intervention

[https://www.nytimes.com/2011/03/21/opinion/21douthat.html?\\_r=1&ref=opinion](https://www.nytimes.com/2011/03/21/opinion/21douthat.html?_r=1&ref=opinion)

<sup>2</sup> Cadier Markus (2016) *World in Conflict – The Case of Libya, The United Nations & NATO*. The University of Gothenburg – Institution of Global Studies

<sup>3</sup> Blythe Devin. (2014) *The Arab spring and its effects on the region: The United States, and the international community*. Johns Hopkins University

<sup>4</sup> United Nations. (2011e). *SC/RES/2009. UNSCR 2009. United Nations*.

[http://www.un.org/ga/search/view\\_doc.asp?symbol=S/RES/2009%20%282011%29](http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=S/RES/2009%20%282011%29)

შვიდთვიანი ბლოკადის შემდეგ გაიხსნა ლიბიის საჰაერო და საზღვაო სივრცე. ლიბია გათავისუფლებულად გამოცხადდა.<sup>5</sup>

ლიბიაში ინტერვენცია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ლიბერალური საერთაშორისო ინტერვენციის სამაგალითო შემთხვევა. ოპერაციაზე თანხმობა განაცხადა როგორც გაეროს უშიშროების საბჭომ, ასევე არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ. ამ ომის ჰუმანიტარული ამოცანა უფრო აშკარად იყო გამოკვეთილი, ვიდრე ის, თუ როგორ უკავშირდება სამხედრო მოქმედება ლიბიაში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს. ამას ცხადყოფს ისიც, რომ ომი დაიწყო არა ამერიკელმა სამხედროებმა, არამედ ფრანგულმა ავიამოიერიშეებმა.

გაერომ ლიბიის სამოქალაქო ომის დროს მიიღო ორი მნიშვნელოვანი რეზოლუცია. ლიბერალური შეხედულებით ეს მოქმედებები მთლიანად ფოკუსირებული იყო მოქალაქეებზე და მთავრობის მხრიდან ხალხის ხოცვაზე უარს მოითხოვდა. 27 თებერვლის #1970 რეზოლუციით გაეროს უშიშროების საბჭომ მოითხოვა დაუყოვნებლივ ცეცხლის შეწყვეტა, ხოლო მისი მე-4 მუხლით ნება დართო საერთაშორისო ორგანიზაციებს, განეხორციელებინათ აუცილებელი ზომები. ასევე, აიკრძალა საჰაერო ზონაში ფრენა, გარდა ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარებისა, დაწესდა იარაღზე ემბარგო, გაიყინა კადაფისა და მისი გარემოცვის ანგარიშები.<sup>6</sup> დაახლოებით იგივე შინაარსის იყო #1973 რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა საერთაშორისო თანამეგობრობას, ყველა ზომა მიეღო რეჟიმის წინააღმდეგ. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ირღვეოდა მოქალაქეების უფლებები და მოქალაქეებზე ძალადობა ხორციელდებოდა ლიბიის მთავრობის მხრიდან. რეჟიმი მოხსენიებულ იქნა როგორც უპასუხისმგებლო და უუნარო, შეესრულებინა საკუთარი მოვალეობა და დაეცვა საკუთარი მოსახლეობა.<sup>7</sup>

ლიბიასთან (და ზოგადად ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით) მიმომხილველები ხშირად ახსენებენ გაეროს მიერ 2005 წელს მიღებულ დოქტრინას „დაცვის პასუხისმგებლობა“. დოქტრინის თანახმად, გამოყოფილია ოთხი დანაშაული, რომელთა არსებობის შემთხვევაში სახელმწიფოებს ენიჭებათ უფლებამოსილება თავდაპირველად განახორციელონ მშვიდობიანი სანქციები (ისეთი, როგორცაა მუქარა საერთაშორისო სასამართლო პროცესის გამართვაზე, ეკონომიკური სანქციები, ემბარგო იარაღის შეძენაზე და სხვ.). ეს ქმედებები მართლაც განხორციელდა ლიბიასთან მიმართებაში. თუმცა, დოქტრინა ასევე ითვალისწინებდა იმას, რომ თუ ეს სანქციები შედეგს ვერ გამოიღებდა და დანაშაული კვლავაც გაგრძელდებოდა, სახელმწიფოებს ექნებოდათ უფლება, მიემართათ გაეროს უშიშროების საბჭოსთვის სამხედრო ძალის გამოყენების ნებართვის თაობაზე. ლიბიის შემთხვევაში ასეც მოხდა, ვინაიდან დადგინდა ისეთი დანაშაულები, როგორცაა: ეთნიკური წმენდა, გენოციდი, ომის დროს ჩადენილი დანაშაულები, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები.

რამდენადაც ხსენებული დოქტრინის მიხედვით განსაზღვრულია, თუ როდის არის დასაშვები ძალის გამოყენება კრიმინალური რეჟიმის წინააღმდეგ, რათა ხალხი დაცული იქნას სახელმწიფოს ძალადობისაგან, ლიბიის შემთხვევაში ნატოს ინტერვენცია გამართლებულია - მოსახლეობას მართლაც სჭირდებოდა რეჟიმისგან დაცვა და გათავისუფლება.<sup>8</sup>

ნატომ კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ გამოიყენა სამხედრო ძალა, რადგან სახეზე იყო ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები ლიბიის მთავრობის მიერ.

<sup>5</sup> Gertler Jeremiah. (2011). *Operation Odyssey Dawn (Libya): Background and Issues for Congress*. Congressional Research Service

<sup>6</sup> United Nations. (2011). *SC/RES/1970* [http://www.un.org/en/ga/search/view\\_doc.asp?symbol=S/RES/1970\(2011\)](http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=S/RES/1970(2011))

<sup>7</sup> United Nations (2011) *SC/RES/1973* [http://www.un.org/en/ga/search/view\\_doc.asp?symbol=S/RES/1973\(2011\)](http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=S/RES/1973(2011))

<sup>8</sup> ICRC (2015) *International Humanitarian Law Answers to your questions*. International Committee of the Red Cross

ლეგიტიმური იქნება ვამტკიცოთ, რომ ნატოს ჯარები, საფრანგეთის ლიდერობით, ლიბიის ტერიტორიაზე სწორედ ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენციისთვის შევიდნენ, რასაც რამდენიმეთვიანი კამპანიის შემდეგ კადაფის რეჟიმის დამხობა მოყვა. რთულია ვისაუბროთ ნატოს წევრი სახელმწიფოების ფარულ მიზნებზე, ვინაიდან კოალიციის უპირველეს და უმთავრეს ამოცანას ქვეყანაში ოპოზიციური ძალების მასობრივი წმენდის თავიდან აცილება იყო. საომარი მოქმედებების პარალელურად, ხორციელდებოდა მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარება, წყლით, საკვებითა და სხვა პირველადი მოხმარების საგნებით მომარაგება.

როცა ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, ამ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის ნორმები და ქვეყნის სუვერენიტეტი მეორე პლანზე გადადის. ლიბერალიზმი ისეთ შემთხვევებში, როდესაც საფრთხე ემუქრება მის ამოსავალ ფასეულობებს - დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს, ომს აუცილებლად აკი მიიჩნევს. ამ გარემოებების გათვალისწინებით განახორციელეს ნატოს ჯარებმა სამხედრო ინტერვენცია ლიბიაში.

იმის მიუხედავად, რომ კადაფი აჯანყებულებთან შედარებით საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მას მაინც არ შეეძლო ოპოზიციისთვის გამანადგურებელი დარტყმის მიყენება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ლიბიაში რომელიმე მხარის გამარჯვება მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში იყო შესაძლებელი, ხოლო დაღუპულთა რაოდენობა, წინა მონაცემების გათვალისწინებით, კატასტროფულ მაჩვენებელს მიაღწევდა. საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ, რომელიც კოალიციას მეთაურობდა, გადაწყვეტილება „ცუდსა და უარესს“ შორის მიიღო, რაც მოსახლეობის დაცვას ინტერვენციის ხარჯზე ითვალისწინებდა.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ინტერვენცია შეცდომა იყო, ვინაიდან მან ვერ შეუწყო ხელი ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას, ასევე ვერ უზრუნველყო ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია და მეტიც, ხელი შეუწყო სამოქალაქო ომის ესკალაციას. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, აღნიშნული არგუმენტები არარელევანტურია, რადგან ნატოს მთავარი მიზანი ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილება და ხალხთან დაპირისპირებული რეჟიმის დამხობა იყო, რაც ალიანსმა წარმატებით განახორციელა.

მოსაზრებას, რომლის თანახმადაც აღნიშნული ინტერვენცია ლიბერალურ ღირებულებებზე იყო დაფუძნებული, აძლიერებს ამ კამპანიის მთავარი აქტორის ვინაობა. ინტერვენცია განახორციელდა ნატოს-საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით. მას გააჩნია ღირებულებათა სისტემა, რომელიც თავის თავში აერთიანებს ადამიანის უფლებებს, მსოფლიო მშვიდობას, დემოკრატიული საზოგადოების დაცვის პასუხისმგებლობას და ა.შ. მაშასადამე, მოცემული ინტერვენცია განახორციელა არა რომელიმე სახელმწიფომ, არამედ ღირებულებებისა და იდეების გარშემო გაერთიანებული ქვეყნებისგან შემდგარმა ალიანსმა.<sup>9</sup>

ლიბიის, იუგოსლავიისა და ერაყის მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიოში გაჩნდა ჰუმანიტარული ინტერვენციის, როგორც მსოფლიო პოლიციელის პრაქტიკა, რაც აკნინებს რეალიზმის ერთ-ერთ მთავარ პოსტულატს - სუვერენიტეტს. მის საწინააღმდეგოდ წინა პლანზე მკვიდრდება ადამიანის უფლებების უზენაესობა. ლიბიაში განხორციელებული ოპერაცია "ოდისეის განთიადი" იმ რეალობის ნაწილია, რომელშიც მყარდება მარადიული მშვიდობა და ხდება „ვესტფალიური სახელმწიფოების“ მთავარი „ნიშნის“ - სუვერენიტეტის უგულვებელყოფა.<sup>10</sup> კადაფი იყენებდა "ექსკლუზიურ სუვერენიტეტს", რომლის ფარგლებში სურდა "არაბული

<sup>9</sup> Adams Simon (2012) *Libya and the Responsibility to Protect*. Global Centre for the Responsibility to Protect

<sup>10</sup> Crawford James, Chinkin Christine, et al. (1994) *The End of Sovereignty? Roundtable*. Cambridge University Pre

გაზაფხულის" ტალღით გამოწვეული მასობრივი საპროტესტო აქციების სისხლში ჩახშობა. ფიქრობდა, რომ სუვერენიტეტი, ქვეყნის საზღვრებზე აღმართული რკინის კედელი იყო, მაგრამ თანამედროვე პრაქტიკაში ჰუმანიტარული ინტერვენციების გამოჩენამ, უზრუნველყო როგორც ამ კედლის, ასევე კადაფის რეჟიმის განადგურება.<sup>11</sup>

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ლიბიაში ინტერვენცია დემოკრატიის სამხედრო გზით გავრცელების მაგალითია. დემოკრატიული ქვეყნებისთვის ისეთი ტოტალიტარული მმართველობის ქვეყანა, როგორც იყო ლიბია 2011 წლამდე, წარმოადგენდა გაცხადებულ მტერს. ამას ამბავრებდა ის ფაქტი, რომ კადაფი მხარს უჭერდა ტერორიზმს. ამგვარი მიდგომა ლიბერალიზმის ჭრილში ქმნის კიდევ ერთ მიზეზს, თუ რატომ განახორციელა კოალიციამ ინტერვენცია ლიბიაში კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ, თუმცა ინტერვენციის შემდგომი შედეგები არასახარბიელოა და ცალკე განხილვას საჭიროებს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიზეზები, რომლებმაც განაპირობა ინტერვენცია ლიბიაში, საკმაოდ ერთგვაროვანია და თავიდან ბოლომდე ექცევა ლიბერალიზმის თეორიის ჭრილში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შედეგებს იმ თვალსაზრისით, რომ კამპანიამ უზრუნველყო კადაფის დიქტატურის დამხობა, ადამიანის უფლებების ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო მეორე მხრივ, სამართლის ნორმების მიხედვით მოქმედმა კოალიციამ ხელი შეუწყო საერთაშორისო სამართალში „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ ცნების დამკვიდრებას. ეს საერთაშორისო ურთიერთობებში ვესტფალიური სუვერენიტეტის ცნების მეორე პლანზე გადასვლას და ადამიანური ღირებულებების აღმასვლას უწყობს ხელს. საერთაშორისო სამართლის ნორმებიც არ დარღვეულა, რადგან ჰუმანიტარული ინტერვენცია გამართლებულ ქმედებად ითვლება. სახელმწიფოებმა შეასრულეს „დაცვის პასუხისმგებლობის“ დოქტრინით დაკისრებული ვალდებულება. ამასთანავე ნატო სრულიად ლეგიტიმურად მოქმედებდა გაეროს #1973 რეზოლუციის საფუძველზე. ნატომ მისიით გათვალისწინებული მიზნები შეასრულა: დასრულდა მუამარ კადაფისა და მისი გარემოცვის 42-წლიანი ტოტალიტარული მმართველობა, დასტაბილურდა მდგომარეობა, დაწესდა ემბარგო იარაღზე და მოსახლეობას მიეცა არჩევნის თავისუფლება. შედეგად, ნატოს ოპერაცია ლიბიაში წარმატებულად შეგვიძლია შევაფასოთ.

---

<sup>11</sup> Alex Bellamy (2015) *The Changing Face of Humanitarian Intervention*. St Antony's International Review